ხელშეკრულება №204
(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ)

08 ნოემბერი 2016 წ.

ქ. თბილისი

ერთის მხრივ სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი" (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ ასათიანის სახით და მეორეს მხრივ ი/მ გიორგი დანელია (შემდგომში–მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს' ქვეპუნქტის საფუძველზე, სამსახურებრივი ბარათის MES 81601277618 გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია საკუთარი შემოსავლებით, 24 ცალი სარკის (ზომა 52x38; სისქე 4 მმ) სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

1.2 კლასიფიკატორის კოდი CPV – 38622000 სარკეები;

2. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 180 (ასოთხმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს;

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს;

2.3 შემსყიდველი ვალდებულია განახორციელოს უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, ეროვნულ ვალუტაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი

3.1 ხელშეკრულების საგნის შემსყიდველისათვის გადაცემა მოხდება 2016 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით;

3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია მიმწოდებლის ადგილსამყოფელი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის მხრიდან საამისოდ უფლებამოსილ წარმომადგენელთა ხელმოწერით;

4.2 მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში.

4.3 ხელშეკრულების პირობების შერულების ინსპექტირება შესაძლებელია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

5. მხარეთა მოვალეობანი

5.1 **შემსყიდველი ვალდებულია:**

- ✓ წერილობითი ფორმით აცნობოს მიმწოდებელს ინსპექტირების დროს აღმოჩენილი ნაკლის შესახებ;
- ✓ გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა;

5.2 **მიმწოდებელი ვალდებულია:**

- ✓ გადასცეს შემსყიდველს შეთანხმებული ხელშეკრულების საგანი ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, დათქმულ დროსა და ადგილზე.;
- ✓ უზრუნველყოს ხელშეკრულების ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა ამისათვის საჭირო გონივრულ ვადაში;

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასმტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 1 %-ის ოდენობით;

6.2 ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში (გარდა ფორსმაჟორული გარემოებისა) დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის ოდენობით.

6.3 პირგასამტეხლოს დაკისრება წარმოადგენს მხარეების უფლებას და არა ვალდებულებას.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

7.2 ხელშეკრულება ვადაზე ადრე შესაძლებელია შეწყდეს მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, თუ ვალდებულების დარღვევის გამო გაგზავნილ წერილობით შეტყობინებას, მითითებულ გონივრულ ვადაში ვალდებულების შესრულების შესახებ არ მოყვება რეაგირება დამრღვევი მხარისაგან, აგრეთვე ფორს-მაჟორული გარემოების შემთხვევაში.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ცვლილება დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

8.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომისას, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამურის ღირებულების გაზრდა 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.3 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით, მხარეთა შეთანხმებით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ეპიდემიები, კარანტინი, მორატორიუმი, ემბარგო, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე;

9.2 მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. დავების გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;

10.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. სხვა პირობები

11.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

11.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან).

12. მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი"
მის: მცხეთა მთიანეთის რეგიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
საიდენტიფიკაციო კოდი: 236098851
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ანგ. № 200122900
ელ- ფოსტა: tmkcommunitycollege@gmail.com
ტელ: (995 32) 210 20 29

დირექტორი
თეიმურაზ ასათიანი

ი/მ გიორგი დანელია
მის: ქ. თბილისი, აგლაძის ქუჩა, მდ. მტკვრის მარცხ. სანაპ. და ვ. ბაგრატიონის სახ. ხიდს შორის
ს/კ: 01019045117
ვითიბი ბანკი
კოდი: UGEBGE22
ანგ. № GE40VT6500000163353602
ტელ: 599 60 31 71

გიორგი დანელია